№ 01-08-17/124-2018-4
24.05.2018

მემორანდუმი

ქ. თბილისი „08 " მაისი 2018წ.

წინამდებარე მემორანდუმი დადებულია

ერთი მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა

და

მეორე მხრივ, შპს „ჯი სი ჯი"-ს

შორის

მემორანდუმის მიზანი:

ითვალისწინებენ რა საქართველოში მშენებლობის განვითარებისა და ნორმალურიფუნქციონირების საქმეში კვალიფიციური კადრების უდიდეს როლს და სპეციალისტების მომზადებაში აკადემიური განათლებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის გადამწყვეტ მნიშვნელობას, მხარეები მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ საქართველოში მშენებლობის განვითარებას, ამ დარგისთვის მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის გზით.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის წარმართვის და პროგრამების შედგენისას შეეცდება მოამზადოს იმ დარგის, პროფილისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებენ **შპს „ჯი სი ჯი"-ს** მოთხოვნის საჭიროებას;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **შპს „ჯი სი ჯი"-ს** მოთხოვნათა შესაბამისად მოამზადებს მშენებლობის დარგის სპეციალისტებს და მიაწვდის კურსდამთავრებულთა სიას, მათ მონაცემებს, დახასიათებას და ინფორმაციას აკადემიური მოსწრებისა და გამოყენების სფეროს შესახებ.
- **შპს „ჯი სი ჯი"-ს** შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაამუშავებს და ჩაატარებს ურთიერთშეთანხმებული პრობლემური ტექნიკური საკითხების

გადაწყვეტისთვის საჭირო თეორიულ, ექსპერიმენტულ და საკონსულტაციო სამუშაოებს, შესრულების და ანაზღაურების შესაბამისად;

- **საწარმოსგან** შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი განახორციელებს მათთვის საჭირო საპროექტო და საკვლევ-საძიებო სამუშაოებსშესრულების ვადებისა და ანაზღაურების შესაბამისად;
- **საწარმოსგან** შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ორგანიზაციას გაუწევს ტრენინგებს **შპს „ჯი სი ჯი"–ში** დასაქმებულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ამასთან, მიიწვევს მათ წამყვან სპეციალისტებს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

2. შპს „ჯი სი ჯი"

- შპს „ჯი სი ჯი" (შესაბამისობის ფარგლებში) ხელს შეუწყობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს გაიარონ პრაქტიკა მის დაქვემდებარებაში მყოფ ასფალტის ქარხანაში;
- შესაძლებლობის ფარგლებში **შპს „ჯი სი ჯი"** (საწარმოო საჭიროებებიდან გამომდინარე) შესთავაზებს სამუშაოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთა ცოდნა და უნარ–ჩვევები დააკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნებს;
- **შპს „ჯი სი ჯი"** თავისი საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს პრობლემური ტექნიკური საკითხების დამუშავებას, დამატებითი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში (ორმხრივად მისაღები ანაზღაურებით) და უზრუნველყოფს მათ, ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მის ხელთ არსებული ინფორმაციით;
- **შპს „ჯი სი ჯი"** თავისი საჭიროებიდან გამომდინარე, გააგზავნის თავის თანამშრომლებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მიზნობრივ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში;

მემორანდუმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა ხდება მხარეთა შეთანხმებით.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ მის შეწყვეტამდე ვადით.

მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ, მეორე მხარისთვის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით.

საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის

რექტორი: [illegible]

შპს „ჯი სი ჯი“-ს

დირექტორი: გიორგი ჩრდილელი